— სასებით აკეთილშობილს, რადგან ის სწორედ მსოფლიოს სტანდარტებს ეფუძნება. 1989 წელს გავიხსენებ: როცა თბილისში დიდი არეულობა იყო, ჯაზფესტივალი მაინც ჩატარდა, არ ჩაიშალა, საზოგადოების გარკვეული ნაწილის დიდი მცდელობის მიუხედავად, საცდარი თვესრულელები ჩამოვიდნენ საქართველოში. მქონდა ბუნდინერება, მათთან ერთად დამეგრა ფილარმონიაში. წელს კი ამ ფესტივალში მონაწილე მხოლოდ ერთი ქართველი იყავი. ჩემი პარტნიორები უმცროსი რუსი კოლეგები იყვნენ.

**ამჟამად სად უკრავთ?**

— ყოველ პარასკევს ვუკრავ ახალგაზრდა ჯაზკლუბში, რომელიც ერთი თვეა, რაც არსებობს და უკვე უამრავი სტუმარი შეავსა. ჯაზკლუბი თბილისში მრავლად არ არის, ამიტომ მსურველი და დამსწრე საზოგადოება ყოველთვის გყავს და მსმენელის სიმცირეს არ ვუწივით.



მედატოვი გათვნილი დარჩა, რადგან ჩემგან ასეთ წარმატებას არ ელოდა

# „ნადირობის დროს პრტი „ცხოველი“ უზუნი იღვიძებს“

მისი ჰობი ნადირობაა, უყვარს ბუნება, ტყეში ხეტიალი, იარაღი... ვერ კიდევ ბავშვი იყო, როცა სანადირო თოფი საკუთარი ხელით იანწო, მაგრამ ისეთი კარგი არ იყო, როგორზეც ოცნებობდა. ამიტომ ფულის შეგროვება დიწწო და როგორც უნდა გატაკვირდეთ, სანატრელი იარაღი 13 წლის ასაკში შეიძინა. ამ ყველაფერზე მსახიობი რეჟისორი ოძრეშვილი თავად მოგვითხრობს.

## თაყვანისმცემი

— როლიანდ, სანამ შენს მონადირულ თავგადასავალს გაიხსენებ, მოკლედ ამბობ, როგორი შოუს შეახებ მთაში, რომელიც ახლა კომედი „ქვერში გავსა. როგორ მიხვდი „ფორმაში“?

— გასულ ზაფხულს ტელეფონიდან დამიკავშირდნენ და მიიხრეს, ასეთ შოუს ვაგეტობთ, 22 დღე სამხედრო ცხოვრებით ცხოვრება მოგიწევს და თანაბმა იქნები თუ არაო? ისიც ამისხსნს, რომ ეს სამშობლის სიყვარულისთვის, შონორანის გარეშე უნდა გამაგებინა; მერე რა მოხდება, არ ვიცო, მოავარსადელი რასაც გადაწყვეტს, თქვენი სასუქარი ის იქნებაო. სანამ დაეთანხმებოდი, ვიცოხ, ეს შოუ ინტრიგებზე ხომ არ იყო აგებული? ვიდავისთვის ფეხის დადება და ნაქცევა თუ მომხმნედა, მაშინ უარს ვიტყოდი — ჩემს თავს კარგად ვცნობ, ასეთ დროს დიპლომატია და მოთმინება არ მყოფის, მალე ვფეუტდები, თავის დაცვა ჩხუბით ვიცი. როგორც კი გაგარკვეო, რომ მსგავს სიტუაციაში არ აღმოვჩნდებოდი, მერე დაეთანხმდი. ეს მორიგი თავგადასავალი იყო. სასუთარ თავს გამოვცა დამოუწყვეტ. სამხედრო ცხოვრება საკმაოდ რთული აღმოჩნდა როგორც ფიზიკურად, ასევე — ფსიქოლოგიურად. ოჯახის გარეშე ყოფნა გამიჭირდა. ტელეფონით 3-4 წუთით ესარგებლობდით, ესეც იწინათად ხდებოდა. გადალება იყო სახეურში, გინოში, სენაკში... რაც მთავარია, ვგუფის ნევერები ერთმანეთს კარგად შევეწყვეთ. როგორც ვიცო, „ფორმაში“ ახალ წლამდე გაგრძელდება. შოუში არის ერთი ეპიზოდი, როცა მეთაურები მონაწილეების გარეშე კარავში შედიან და ჩვენზე ლაპარაკობენ. განიხილავენ, ვინ რა შეტყლით, როგორ წარმოვაჩინეთ თავი. ეს ნახაბი ჩვენც არ გვაქვს. ასე რომ, ფინალი როგორია, არ ვიცო.

— ნადირობის ინტერესი რა ასაკიდან გაგაჩნდა?

— მამა იყო მონადირე, 8 წლიდან ვიხოვდი, სანადიროდ ნაწყევანე. სადაც შეიძლებოდა, მივყავი. მერე მშობლებისგან მალულად ფული შევაგროვე. ხან სპილენძს ვაბარებდი, ხან ბოთლებს, ცოტა ნაშუქარი იყო ფულიც დავაშაბე და 13 წლის ასაკში სანადირო თოფი ვიყიდე.

## — 13 წლის ბავშვს თოფი ვინ მოგვარდა?

— კახეთში სოფელი მაქვს. მთელი უბანი შემოვიარე, ყველას ვეკითხებოდი, თოფი ხომ არ გავეთ გასაყიდი-მეთქი? ერთ-ერთ ოჯახს მივაადექი — ვიცოდი, რომ პქონდათ. ვცოხ, ხომ არ მომედიდი-მეთქი? უარი მითხრეს, მაგრამ მათთან სტუმრად ვივადე კაცი იყო. ის დაინტერესდა და გამოვიტახა, თოფი რისთვის გინდაო? აუუსხენი, თან შეშეშინდა, პოლიციელი არ იყოს-მეთქი. ბოლოს მითხრა, მე მაქვს, ამა და ამ ადგილებზე მოდი და მოვიყიდი. მართო მისვლა ვერ გავბედე, 2 მეგობარი გატყოლე. ახალი წელი მოდიოდა და ეტყობა, ფული სჭირდებოდა. თოფი ახალი, მაგრამ მოუვლელი იყო. — 80 ლარი მაქვს და ამ ფასში თუ მომცემ, ნავილებ-მეთქი. დამთანხმდა. მერე სახლში შევიდა და პატრონტყი გამოიტანა: — ამაში რამდენს მომცემო? — ამ 80 ლარის გარდა ფული არ მაქვს-მეთქი. — აბა, მე რაღამე მჭირდებაო?! — და

მაჩუკე. იმ წუთში ჩემზე ბედნიერი ადამიანი ქვეყანაზე არ მეტყულებოდა.

— ეს თოფი სახლში მიიტანე?  
— რას ამბობ, სახლში როგორ გამოვჩენდი?! 3 წლის მანძილზე მეგობრთან ვმალავდი. არაფერს ვაშაბედი; როცა დრო მქონდა, იხსება და მწყერვდი ნადირობით. მერე კარგი მონადირე ძაღლებიც მყავდა. თოფის ტარების უფლება არ მქონდა, მაგრამ ძაღლის ყოვას ხომ ვერვინ დამიშლიდა? ძაღლებს თავად ვეშაბედი.

## — დადგეზა როგორ ისწავლე?

— სახლში ნადირობაზე კარგი ლიტერატურა გვექონდა. ბევრს ვკითხულობდი და ვისწავლე. მაინ რილის „ტყის ბიჭები“, „ქირაზე მოწადიწი“ და „ჭაბუკი მონადირეები“ რომ ნავიკითხე, მერე სულ გავგეფედი, ნადირობა უფრო მეტად შემიყვარდა. დღეს ამ თემაზე ბევრი რამ ვიცი წინგნებინდან, გამოცდილებიდან... სანადიროდ რომ ნახვიდე, მხოლოდ კარგი ძაღლი არაა საკმარისი, მანქანა და საწვავის ფული გინდა. 14-15 წლის ასაკში არც მანქანა მყავდა და არც ფული მქონდა, მაგრამ ჩემი დავეთხი ძაღლების წყალობით, სახლში მონადირეების რიგი შედგა, დიდი კაცები მოდიოდნენ და მითანხმდებოდნენ, — სანადიროდ გვიანდასწავლა, იქნებ შენც ნამოხვიდე და ძაღლები ნამოხვიდარიო.

## — ეს სწავლაში ხელს არ გიშლიდა?

— რომელი საგნებიც მომწონდა, მაინც ესწავლობდი.

## — იმ დიდი კაცებთან ერთად რაზე ნადირობდი?

— მელაზე, კურდღელზე, ტურაზე, მწყერზე, იხზე... მანქისთვის ხავერდებიც მქონდა დაბეჭუბი.

## — დიდ ცხოველებზე არ ნადირობდი?

— ბავშვობაში არა, ახლა ენადირობ. როგორც კი თავისუფალ დროს გამოვინახე, ტყეში მივივარე.

## — გამორჩეულად საყვარელი სანადირო ადგილები თუ გაქვს?

— მაქვს, მაგრამ ნუ მათქმევიანებ. ერთ-ერთ ბიზნესმენს ტყის გარკვეული ნაწილი შემოლობილი აქვს. შეგიძლია, გარკვეული თანხა გადაიხადო და ღორზე სანადიროდ შეტყიდე. თან მცველი გატყევა, გეტყვის, სად უნდა დადგე. თავად წავა, ღორებს გამოვრეკვას და შენ უნდა ესროლო.

## — ეს ალბათ ნაქცეხად აზარტულია.

დავც იყავი იმეანი



ხან სპილენძს ვაბარებდი, ხან ბოთლებს



— რა თქმა უნდა.

**ნადირობის დროს სახიფათო სიტუაციაში თუ ჩაგვრდნილია?**

— ნადირობას თავისი დაუსწრელი კანონები აქვს. ხელში თოფი გეჭირავს, რაც თავისთავად სახიფათოა. ზოგჯერ ცხოველიც საშიშია.

**თავდასხმა რომ მოხსნაროს?**

— მელა ხომ პატარაა. ერთხელ ვესრულე დაჯვრეობა, მაგრამ გაქცევა შეუძლო. გავეციდე, რომ წამოვეწიე, აქეთ მომიბრუნდა და კბენა დამიბირა. ფეხის გამოწევა მოვასწარი. შეიძლება, ცოცხალი იყოს. თავდაცვის ინსტიტუტი ყველა ცხოველს აქვს. ერთმა ნაცნობმა კურდღელი მოკლა. მინახე ეგო, ეგონა, მოკვდაო, მიეცოდა და ხელი მოჭიდა. კურდღელმა ფეხები ააფარაბალა. ძალიან ბასი პრჭალები აქვს, ვერებზე გადაუსვა და გადაუსერა.

**დადე ცხოველზე ნადირობა უფრო სახიფათო იქნება, არა?**

— მეგელი საოცარი ცხოველია, ძალიან შვეიანი და უშიშარი. ერთხელ ჩაუესაფრდა, ტყიდან რომ გამოვიდა და დავინახე, თმა ყალბზე დამიდაცა. იმიტომ კი არა, რომ შემეშინდა და გაქცევა მომიხდა, ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, თითქოს ტყიდან ცხოველი კი არა, რაღაც ძალია გამოვიდა, გეგონებოდა „პიროვნება“ იყო. მშვიდად მოდებოდა. უჩინოდან ძალი უწყევდა. თავი მიბარუნა, მერე წინ გაიხედა, გზა შეავალიერა, საით უნდა წასულიყო.

**შენ ვერ გზავდა?**

— საფარში ისე ვიყავი, რომ ვერ შევხედავ. ეტყობა, იმ დროს ზურგის ქარი იყო. იყო და ჩემი იქ ყოფნა სუნითაც ვერ იგრძნობ.

**მოკალი?**

— კი.

**არ შეგეცოდა?**

— ნადირობის დროს ამაზე არ ფიქრობ, „ცხოველი“ შემწიცი იღვიძებს.

**მამქია, ყველაზე საინტერესო ვისზე ნადირობათ...**

— ამბობენ, მაგრამ ძალიან რთული და სარისკოც არის: ჯიხვი ისეთ კლდეებზე დადის, სულ ბუნის ხიდეზე უნდა იარო. ჯიხვზე არასდროს მინადირობა.

**დალი იხვე გაყავ?**

— არა, სახლში იშვიათად ვარ, მინადირებ ძალს სხვაგვარი მოვლა უნდა. მას ვერ მოიყვან და ოთახში ვერ გამოკვებავ. დიდი ენერგია აქვს, რომელიც უკუელებლად უნდა დაბარჯოს.

**რამდენი იარაღი გაქვს?**

— 3 იარაღი და სამივე გაფორმებული მაქვს.

**შენს რომელიმე კოლეგასთან ერთად თუ განადირია?**

— არა, მხოლოდ ერთხელ, სათევზაოდ ნიკა კუჭავა წავეყვანე.

**თევზაობა უფრო გვიჯარბს თუ ნადირობა?**

— ნადირობა. აქტიური ვარ და იმიტომ. სანამ იმ ოთხმოცდარიან თოვს ვიყიდდი, მე და ჩემმა მეგობარმა თოფი ავაწყვეთ.

**საშუბი არ იყო?**

— იყო, მაგრამ ვიცოდი და ვვრთბილობდი. ლულად წყლის მილი გვექონდა გამოყენებული. იმ თოფით შამუებსა და ჩხართებზე ენადირობდით. ერთხელ ალაზანზე იხვეტი სანადიროდ წავედით. იხვებზე ნადირობის სეზონი ზამთარშია, როცა ცივა და ცუდი ამინდია. მიუღი დღე ვიარეთ, ვერაფერი მოგვალა. ბოლოს, როგორც იქნა, ერთი იხვი მოგვალა. იქვე პატარა ხელოვნური ტბა იყო და წყალში ჩავარდა. საღამოა, ბინადმები. რა უნდა ვქნათ? ისეთი სიცივა, ტბას ნაპირები გაყინული აქვს. ვერ ჩემს მეგობარს შევთავაზე, შედე და გამოიტანე-მეთქი. — მე კი არ მომიტლავს, მიდი და გამოიტანე, იმაზეც მადლობა თქვი, მიუღი დღე რომ დაგვეები და მარტო არ დადიხარო. რაღას ვიზამდი! ვუბეროვლა კოცონი დავანთე, მერე ტანზე გავიხადე და გაყინულ წყალში შევედი. გაცურავა არ დამჭირვებია, ისეთი ღრმა არ იყო, რომ დავეფარე. იხვი გამოვიტანე, მერე გაგზორე, გავთბი და ტანსაცმელი ჩავიცვი. გაცივება გადავარჩი. ნანადირეც ყოველთვის თავად ვუვლი, ვასუფთავებ, ეს ყველაფერი მხებრჩება.

**ნადირობის დროს დალევ?**



ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, თითქოს გაყინა ცხოველიც კი არა, რაღაც ძალია გამოვიდა

**შეიძლება?**

— გახარია, რა დროს და რაზე ნადირობ. როგორც წესი, ნადირობას იწყებენ გამთენიისას და ამ დროს გასასურებლად 2 ჭიკა არყის დალევა „მოსულა“. დათრობა არ შეიძლება.

**თუ ერთმანეთს მონადირეთა ორი ჯგუფი შეხვდება, ნანადირეც იყოფა?**

— ეგ წესი მთავრი იყო. როგორც კი ჯიხვის მოკლავდი, ეგრევე ყელი უნდა გამოგეჭრა და ფეხში გაგეჭყავებინა. ამას თუ ვერ მოასწრებდი და სხვა მონადირე შეგებუდებოდა, მისთვის აუცილებლად წილი უნდა მიეცევა. ახლაც არის გაყოფის წესი. დიდი ცხოველის მოკვლისას 2 წილი, ტყავი და რქები, ვინც მოკლავს, იმას ერგება.

# დავიდ გუქვიანი მუდლის ავადმყოფობაზე ალაპარაკდა

მაღალთმუა დისკის თიაქრის გამო, 37 წლის ვიქტორიას ხერხემლის არეში იმდენად ძლიერი ტკივილი ჰქონდა, რომ ახალშობილი გოგონას ხელში



აყვანავ კი არ შეუძლო. ფეხბურთელმა ერთ-ერთ გამოცემისთან გულწრფელად ისაუბრა იმის შესახებ, თუ როსი გადატანა მოუხდა მის მუდლს. „თავს უხერხულად გრძობდა, რადგან ჰარპერის ხელში აყვანა და მით უმეტეს, კვება პალზე უჭირდა, ახლა კი ეს პრობლემა მოგვარდა და ვიქტორიას ჩვილის ხელში აყვანა შეუძლია“.



რუბრიკის უძველესი ნაწილი 6069 ჩარეგისტრირებული

# უშვილონი პროვლამ მაჰაჰასაზუში და შოგობაროვისთვის რატიმალური ასაკი

ამ რუბრიკის ფოსტა შეკითხვების სიმრავლითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც ბუნებრივად მივყვებით ჯანმრთელობისთან დაკავშირებით უამრავი რამ აქტი გასარჩევად და ექიმის კვალიფიციური კონსულტაციის ეშურებით, განსაკუთრებით ის ადამიანები, რომლებსაც მკურნალობასა თუ დაავადების პროფილაქტიკაზე სერიოზული ხარჯის გაღება ეწელებათ. სწორედ ამიტომ, მერობრივად გთავაზობთ კითხვა-პასუხს, რომელიც თქვენთვის აქტუალურ პრობლემებს ეხება და ვრცელადია გამოცემული ექიმ თამარ მამაცაშვილის წინაშე — „პარაბადინი“. აქვე დაუყენო, რომ ამ წინაშე შექმნილ მასალებს შეუძლიათ მიაკითხონ წინაშე მალაზეებს, მათ შორის — „ბიბლუსს“.



— რას წინაშე მამაცაშვილის უშვილონი? რა არის მისი მიზეზი და როგორ ვლენდებ? გითხრო, მიხატული — ეს ჩემთვის ძლიან მნიშვნელოვანია.

— როდესაც მონივლი მამაცაშვილის ორგანიზმს არა აქვს განაყოფიერების უნარი, თუმცა შესაძლოა, სქესობრივი აქტის ჩატარება შეეძლოს, ეს უშვილონი ბაა. განასხვავებენ სკერეტორულ და ექსტროტორულ მამაცაშვილ უშვილობას. პირველი — სტერმატოზოიდების გამო-მუშავეების დარღვევის შედეგია, რასაც სათესლე ვირუცლები და დანამატების დაავადებების, ნივთიერებათა ცვლისა და

ენდოკრინული დარღვევების დროს აქვს ადგილი. ექსტროტორული უშვილონიბას მოშლილია სპერმის გამოყოფის პროცესი, რასაც შეიძლება ინვედებს გამომტანი სადინარების ანთება, ტრავმა ან განვითარების ანომალია, აგრეთვე, ეპულაციის პროცესის დარღვევა. განაყოფიერება და მოკიდებულია სპერმის თვისებებზე, პირველ რიგში კი — სტერმატოზოიდების ძირადობაზე. ამიტომ, მამაცაშვილის უშვილობის მიზეზების კვლევისას უპირველესად უნდა განისაზღვროს სპერმის განაყოფიერების უნარიანობა. საშარდე გზების ინფექცია ყველაზე ხშირი მიზეზია იმ დაავადებებისა, რომლებიც აქტივობას სპერმის განაყოფიერების უნარს. დაავადებული და არასწორი მკურნალობა ხშირად უშვილობას ინვესს. სპერმის პათოლოგიური ცვლილებები სხვადასხვა სახის მაიონიზებული გამოსხივებისა და ტემპერატურული ზემოქმედების (სხეულის გადახურების) დროს ვითარდება. ტემპერატურულ ზემოქმედებას განიცდის მავალითად, ცვლილებები, ფოლადის მდინობები — საამქრობები. მამაცაშვილი უშვილობის ერთ-ერთი ხშირი მიზეზია ვარკოცელა (სათესლე ბაგირების ვენების გაგანიერება), რომელიც უშვილონი მამაცაშვილი 40%-ს აღინიშნავს.

— ჩემს ვაჟს მარჯვენა ხელის შუა თითის ფრწილიანი სახსრის შემოკარენი ბალიზითორი, ცივი წყლით დაბანისა და სახის პარსვის დროს უთოთრდება და უტედება. რითი ბრალია და რით ვუშვლო?

— შეიძლება დაავსკნობა, რომ თქვენს ვაჟს აქვს კაპილაროსპაზმი (წერილი სისხლძარღვების შევიწროება), რის პროვოცირებასაც სცივის ზემოქმედება ან მექანიკური დატვირთვა ინვესს. ამასთან, პროცესს ლოკალური ხასიათი აქვს, შესაძლოა, ეს კაპილარული სისხლის მიმოქცევის ზოგადი დარღვევის დასაწყისი იყოს. შესაგისი ზოგადი პროცესი არის ხოლმე შაქრიანი დიაბეტის გართულება ან სისტემური ვასკულიტის (სისხლძარღვთა ანთების) გამოვლინება. სიმპტომური მკურნალობის მიზნით ასეთ დროს შეიძლება დაინიშნოს სისხლძარღვთა გამაფართოებელი პრეპარატი (მაგალითად, ტრენტალ), მაგრამ აუცილებლად უნდა დადგინდეს ძირითადი დაავადების დიაგნოზი ანუ მთავარი მიზეზი, რისთვისაც უნდა ჩატარდეს დამატებითი სამედიცინო გამოკვლევები.

— ჩემს დას შვილად საშვილონის დანამატის შემოკარება, რის გამოც ამოკვეთის ერთი საკვარცხე მიანტერესებს, მსგავს მსგავს ავიში ნოთუ სხვა რამის გაცეთება არ შეიძლება? ჩემი და ხომ ვერ ისევ ახალგაზრდა ქალია.

— საწმუხარია, მაგრამ დანამატების შემოკარება ყველაზე ხშირად სწორედ ახალგაზრდა ქალების შემართებათ. ის იმასთანავე დაკავშირებული, რომ ახალგაზრდაობაში ზოგჯერ ხდება იმ ოვების დაგროვება, რომლებზეც დანამატები „ჩამოკიდებული“ ადრე ამ დიაგნოზის დასმისას კეთდება ოპერაცია, თუმცა შემოკარებით დანამატის გადარჩენა იშვიათად ხერხდება. ამგვად კი იყენებთ თანამედროვე ქირურგიკის — ენდოსკოპიური ქირურგიის მეოღს. იგი საშუალებას იძლევა, დათვალიერდეს მუცლის ღრუს ორგანოები სულ მცირე ზომის განკვეთიდან. 2-3 სხვა ნახსენებიანი კი სრულდება საჭირო მანიპულაციები ორგანოებზე. პროცედურის დროს ექიმი ათვისებს დანამატების მდგომარეობას — რამდენადაა ისინი შეცვლილი, რამდენად დაზარალებული მათი კვება. ხშირ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება მათი შენარჩუნება მავალითად, თუ შემოკარებაში დანაშაუვა კეთილთვისებიანი ან კეთილი სხეულის კისტის მავარი ფუნქციური წარმოაქმნის, ხოლო კისტილი დაზიანებული არ არის, მასში შემოკარებილი დანამატს გასწინა, ხოლო კისტას ამოკვეთენ. განმარტებითი შემოკარების თავიდან ასაცილებლად კი, ამოკლებენ ოვებს. საფარუდოა, რომ თქვენი დის შემთხვევაში საქმე ვაგვარად იყო — ალბათ დაზიანებული იყო საკვარცხის ქსოვილი და შესუქმებული იყო მისი ადგილი. ასეთი საკვარცხის დაზიანება კი საშუაო ორგანიზმისათვის, რადგან მომავალში იგი შესაძლოა, ავთვისებიანი სიმსივნის განვითარების მიზეზი გახდეს.

P.S. პატენტებული მეთოდებელი, მანქანით, თუ რამოდ დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირვებელია, ჩვენი ყურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიზნად შეუძლებელია, მაგრამ მისი გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეეძლება. რუბრიკის ავტორის შეგიძლიათ დათვაკემორდეთ ტელეფონის ნომერზე (599) 30.35.97 ან ელფოსტაზე nino.char@yahoo.com.



— სახსრების ქრონიკული დაბადებისა და რევმატიზმის მკურნალობის ჩემული მეთოდი ასეთია: სუფთა და ნორჩი ახალდაკრეფილი უფუნწო არყის ხის ფოთლები სველ ფენად დანეწეთ ბამბის ქსოვილზე შემდეგ ყოველდღე, ძილის წინ ამ ნაჭირთ შეხებით მტკივანი სახსრები. ნახევრი მანამდე უნდა გაიჭიროთ, ვიდრე ფოთლები არ დარბილდება და არ დაინეშება. დღელი ვიხსნი კომპრესს და საღამოს ისევ ახალი ფოთლები ვიკვიებ. მკურნალობის კურსი ორი კვირია. მერე დროებით, მკურნალობა უნდა შეწყდეს. ზაფხულის განმავლობაში ვცდილობ, რამდენიმე კურსს ჩატარება მოვასწორო. მკითხველს ალბათ, მკურნალობის შედეგად აინტერესებს თითოეული კურსის შემდეგ სახსრების ანთება და ტკივილი თანდათანობით იკლებს და ყოველგვარი ნაშლის გარეშე თავს მშვენივად ვგრძნობ. ზამთრის პერიოდშიც კი სახსრები იშვიათად მასხერებს თავს, მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ შედეგს მისაღებად დრო და ნებისყოფა დაგჭირდებათ. მხოლოდ რამდენიმე კურსის შემდეგ მიიღებთ სტაბილურ ეფექტს თუ რევმატიკულად იმკურნალბით, თანდათანობით სულ უფრო ნაკლებად შეგანუხებთ სახსრები. შ.პ., თბილისი.

— არყის ხის მერქანში, ფოთლებში, კვირტებსა და ფესვებში შემავალი მრავალრიცხოვანი ბიოაქტიური ნივთიერება ამ მცენარის მრავალმხრივ ფარმაკოლოგიურ ეფექტს განაპირობებს. მათგან აღსანიშნავია ანთების საწინააღმდეგო, ნივთიერებათა ცვლის მომწესრიგებელი, იმუნოიტეტის მასტიმულირებელი, ქსოვილის აღდგენი და სხვა კონკრეტულ შემთხვევაში, გარდა ამ საპურნალო თვისებებისა, მოქმედობა აქვს კომპრესის ეფექტს, რასაც ნახევრი უზრუნველყოფს.

— გათავაზობთ რევმატიზმის სამკურნალო ეფექტიან ხალხურ საშუალებას. ჩემთვის ცნობილია ასეთი ნაშლის რეცეპტი: იღებენ სველკვდილიან ბოთლს. მასში ასხამენ 150 გ ზეთონის ზეთს (შეიღწება პრეპარატიული ზეთიც), შემდეგ ამატებენ 10-დან 20-მდე წითელი წინაყის პარკებს იმის მიხედვით, თუ როგორი სიმაგრის ნაყენს მიღება სურთ, ამატებენ 150 გ კარგად განმწივებელ სუფიან ნაყენს, ანჯღრევენ, აცობენ საცობს და დგამენ 9 დღით თბილ ადგილას. ანჯღრევთ ყოველდღე ამ ნარევით იზღუენ მტკივნეულ ადგილებს დღიანობით. დღისით იცავენ შალის წინადას. პატერესკებთ, — პ.

— აღნიშნულ რეცეპტში ორი კომპონენტი — ნავთი და წინადა მტკივნეულ უბანზე ნასმისას გამოიწვევს კანის წერტილი დაბოლოებების — რეცეპტორების გაღიზიანებას, რასაც შედეგად მოჰყვება სახსრების ქსოვილებში ნივთიერებათა ცვლის გააქტიურება და ანთების უკუგანვითარება. ზეთს კი ამ შემთხვევაში კანის გაღიზიანებისგან დამცავი ფუნქცია აქვს.

— ვარ 73 წლის. მანუხებს სტენოკარდია. დასვენება ან ნიტროგლიცერინის მიღება ტკივილებს დროებით მისხნის არსებობას თუ არა განკურნების საშუალებას? ვთხოვთ, განმიხარტოთ.

— სტენოკარდიაზე შეენ არაერთხელ ვისაუბრეთ, მაგრამ ეს არ გვაქვს უფლება, რომ კონკრეტული შემთხვევა უპასუროდ დატვირთოთ. სტენოკარდიით (გულის ტკივილის) შეტევა იმითა გამოწვეული, რომ გულის კუნთს გულ მიეზრდება იმდენი სისხლი, რამდენიც სჭარდება. დასვენების დროს გულის კუნთის დატვირთვა მცირდება, ამიტომ მას ნაკლები სისხლი ესაჭიროება და სწორედ ამიტომ გესხნება ტკივილი. ნიტროგლიცერინი მოქმედებს გულის კუნთის მკვეთავ სისხლძარღვებზე და აფართოებს მათ, რაც გულის კუნთის სისხლით მომარაგების გაუმჯობესებას იწვევს, ამას კი ისევ ტკივილის მოხსნამდე მიყავართ. ნიტროგლიცერინი არის ძალიან ხანმოკლე მოქმედების პრეპარატი. არსებობს მისი მსგავსი, გახანგრძლივებული (მროლონიგრებული) მოქმედების მქონე პრეპარატები, რომლებიც კორონარების (გულის კუნთის მკვეთავ სისხლძარღვების) გაფართოებელ ეფექტს რამდენიმე საათის განმავლობაში ინარჩუნებს. ასეთი პრეპარატის არამდენჯერმე მიღება დღის განმავლობაში, ფაქტობრივად, ხსნის კორონარის სახსნს და უზრუნველყოფს გულის კუნთის სისხლმომარაგების აღდგენას. რაც შეეხება სრულ განკურნებას, კორონარების პათოლოგიური ცვლილებები ათეროსკლეროზული პროცესის განვითარებასთანა დაკავშირებული. ამ პროცესის უკუგანვითარება, ფაქტობრივად, შეუძლებელია, თუმცა შეიძლება, მისი შენელება და პროგრესირების თავიდან აცილება.

— ქალს რომელი ასაკი ოჯახმალური მშობიარობისთვის და რაიმ?

— ყოველი ადამიანის ორგანიზმში დაახლოებით 5-6 მილიარდის (გულის ცვლილების) მატარებელია. როდესაც მშობიარის ასაკი 35 წელზე მეტია, მატულობს გენური და ქრომოსომული მუტაციის მთავი ბავშვის დაბადების რისკი. რაც შეეხება ტლანტას, რომელიც თითქოსდა მშობლების ასაკზე დამოკიდებულიც, ეს საკითხი მეცნიერულად შესწავლილი არ არის და ასეთი მოსაზრება მხოლოდ ვარაუდს ნარჩუნდებს. მშობიარობა არც 18 წლამდე ასაკშია მიზანშეწონილი, რადგან ორგანიზმი მოუწინააღმდეგებელია. ყველზე მისაღები ასაკია 18-35 წელი. ეს იმას არ ნიშნავს, რომ 40 წლის ქალისათვის მშობიარობა არ შეიძლება; მაგრამ მისთვის რკვირებადელია მშობიარობამდელი დიაგნოსტიკა.

## მალე ინსულინის ინიჩაჟიანი გაუმჯობესების

ავსტრალიაში, ჯონ კრტინის უნივერსიტეტის მეცნიერია ვჯგუფმა ინსულინის შემცველს მიიგნო. ახალი გამოგონება დიაბეტიით დაავადებულებს საშუალებას მისცემს, ინსულინი აბებით შეეცადონ. მეცნიერებმა 10 წლის განმავლობაში 3 მილიონი ნივთიერება შეისწავლეს იმიტომ, რომ ინსულინის მოლეკულური სურათის იმიტაცია მოუდებოდა.

ნათ. სტატისტიკური მონაცემებით, დიაბეტიით დაავადებული პაციენტების 95% ინსულინის ინიექციას იკეთებს. ახალი პრეპარატი მათ საშუალებას მისცემს, დაავადების განვითარების გარკვეულ სტადიებზე ინსულინის თერაპიაზე უარი თქვან. ახალი პრეპარატი სხვადასხვა ტყვეების მეცნიერები და ინვესტორები დაინტერესდნენ — მათი მატერიალური დაზარებით პრეპარატი განვითარების ახალ საფეხურს მიაღწევს. მეცნიერები დარწმუნებული არიან, რომ მათ მიერ შემუშავებული სახელე მე-2 ტიპის დიაბეტის მკურნალობაში რევოლუციას მოახდენს.





# ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რას ჰაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

## წვეთი პოეზია

### სონეტი ელლის

სონეტით მინდა ჩემი გრძნობა შენდამი,  
 ელლი  
 შენს სულს გადავცე!.. მაგონდება  
 სოფელი შორი;  
 ერთმანეთს შევხვდით; ყვაკილებით  
 ხარობდა ველი.  
 იყავი ნაზი, ისე როგორც ცყის ნიამორი.

მე შემიყვარდი — და მიყვარხარ —  
 და მარად გელი,  
 მე მინდა, შენი სიახლოვე შენი ამბორი,  
 შენთვის ვოცნებობ მე, სონეტით  
 მადილებული,  
 და შენით, ელლი, ანთებული,  
 მზის თანასწორი.



ყვაკილებია ჩემს გარშემო!.. მისი მინდა,  
 ჩემო ბალებო, აყვაკილდით, იმხიარულეთ!  
 გაზაფხულის დღე, შემხვედრის დღე ხომ დაგვიბრუნდა?..

ივხორეთ ყველამ სიხალისით და სიყვარულით!..  
 და ამ ბუნების მე მანამდე ვარ გადაშვიდე,  
 სანამ იმედი დამპირდება, რომ განახვ ჯიღე.

აპოლო იაგვილი

## სახსროვარი



### პახტაშ VI

სწავლა ჰგავს წყალსა წმიდასა,  
 რულად მომდინარესა;  
 რა მიჰხვდეს კარგსა სათესსა,  
 დროსა, ჟამსა და არესა,  
 აღმოაცენებს ნაყოფსა  
 ასწილად შესანყნარებსა,  
 მორწყული ქვიშა ანასდად  
 გაიდენს, გაიტარესა.

### ქართულ სიტყვათა კონა

შუდგენილია  
 არნოდდ მიქობავას რედაქტორობით  
 1982 წელს გამომცემელი  
 ძარბოული ივის  
 განმარტამიტი ლეძიკოონის  
 ერთტომეულის მიხედვით  
 შემდგენელი თმეპერ ივანიჭა

### ა

დასაწყისი იხ. „გზა“, №2-52, 2010 — №46, 2011

- მოზრალელი** (ძე და კუთხ.) — იგივეა, რაც შემბრალბებელი.
- მოგი** — 1. ცეცხლსახურთა ქურუმი; 2. ვარსკვლავიმირიცხველი; გრძნეული, მისანი.
- მოგვერდი** — ჭიდაობის ფანდი, მოპირდაპირის თემოზე გამომგდება.
- მოენე** — 1. ტყვე, რომლისგანაც შეიძლება, საჭირო ცნობების მიღება; 2. მეთვალყურე, ჯაშუმი, ენაჭინია.
- მოვი** (ძე) — საპერანგე აბრეშუმის ქსოვილი.
- მოწმომე** — ამოქმულბული, მოურიამულე.
- მოთალი** — ერთგვარი ფხვიერი ყველი.
- მოიმცვრეს** — რთელის შუმდეგ ეწნახში აქაიქ შერჩენილ ყურძენს მოკრეფს — მოკუფხლავს.
- მოინაგრებს** — გარჯით შეძენს, იშოვის.
- მოინარიკლებს** — ამოიჭამს, მოინელბს, ბოლოს მოულებს (მშობლები მოინარიკლა).
- მოიფხვნება** — უშნოდ დანაოჭდება.
- მოიქაჩლებს** — თავს მოიქაჩლებს — ძალიან ეცდება რასმე, თავს გამოიღებებს რამესთვის, ვინმესთვის.
- მოიფრება** — მჭიდროდ თავს მოიფრებს, მოგროვდება.
- მოკვარახტინებული** — უშმაკობით, მიხტინებით მოწყობილი (საქმე).
- მოკიწის** — მცირედ შეჭმას რასმე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# ჩანაწერები უბის წიგნაკიდან

## ნოდარ ოშაბაძე

\*\*\*  
 სახელი — ნოდარ  
 გვარი — ოშაბაძე  
 მამის სახელი — ვლადიმერის ძე  
 სასაბურო — კოსმოსი, ზღვა, ხმელეთი, ხანდახან — მინისტრული პასპორტი — უსაბუთო  
 სისხლის ჯგუფი — უსისხლო  
 რეზუს-ფაქტორი — ურეზუსო  
 დარეკეთ მხოლოდ ცელესიის ზარი.

\*\*\*  
 საქართველო ძალიან ლამაზ და ჯიშინ ბედაურს ჰგავს, ოქროს უნაგერიო შეკაზმულ ბედაურს, თან ისე ლამაზ მდელიოზე და გამოსაჩენ ადგილასა დაბმული, ყველას უნდა შეაჯდეს, ლაგამი ამოსდოს და სარადლის ყიფინით და ვაშას ძახილით გააჭენ-გამოაჭენოს, მაგრამ, შეალოება ღმერთს, თვითონ არის ისეთი ფაქიზი და ფედიონი, ყველა ნაძირალას არ იჩვენს ზურგზე. მხოლოდ ღირსეულებს თუ შევიგენს ხოლმე და იმთავით თუ დაგარგეს ზომიერების გრძობა, გადმოაგდებს და ძირს დახარტებს. ბუერი მინახავს ასეთი.

\*\*\*  
 საოცარი ფრინველია მერცხალი. ერთიც რომ იყოს, ცა სასუბა, ასუბვა არნივით, ოლნდ არნივით იყრობს ეს. იღებულებით, მერცხალი კი — სიხალისით. ეს რომ ასეა, ამას ისიც ამტკიცებს: თოვლის მოსვლის წინ და თითქმის სასუბა ქილყუკუებით და მინც უსაშველოდ ცარიელია.

\*\*\*  
 ცხოვრება შესაათის ბუნებრივანას ჰგავს. ჩვენ, ადამიანები — მის ვიტრინაში გამოფენილ შესაკეთებელ, სხვადასხვა დირმის, ჯურის, ფორმის, ზომის, წონის და მექანიზმის მქონე საათებს... ზოგი მათგანი უზომოდ გაცუფთვლია და მოშლილია სამუშაოდ. ზოგი წინ გარბის, ზოგი უკან რჩება. ზოგს ზამბარა აქვს განყვებლილ... ზოგს რა სჭირს და ზოგს — რა.

\*\*\*  
 ზოგი რა დეტალის გამოცვლას საჭიროებს და ზოგი — რისას. ერთ მარადიულ უზარმაზარ უზომო უამში, დედაბაში გაჩერებულა თუ ნიკნიკებს თითოეული ჩვეთავანი, ვითარცა უამთადმწერელი და აღმწუსხველი. მესაათე კი, ვითარცა დედაბა, ზის, ხელისგულზე უდებს ჩვენი ერთი ციკლი სსუფელი. უზარმაზარი დედაბა თვალთ — გაამდიდრებელი მუშაით გავათვალერებს დიდ-



ხანს, ხანდახან არცთუ ისე დიდხანს, ხანდახან უზრალოდ დაგებუდას და თუ თქვა — ამას არაფერი ეშველებო — და გვერდზე გადასდო, გათავებულა ჩვენი საქმე.

\*\*\*  
 ისე ეშინოდა სიბერის, რომ სიამოვნებით მოპკურცხლავდა ბავშვობისაკენ, მაგრამ საუბედუროდ, ბავშვობა არ ჰქონდა, და რაც მთავარია, ეს შეუძლებელი იყო, ამიტომ იდგა, ელოდა და კანკალებდა.

\*\*\*  
 დიდი ხანს წინ მოვიკვლი, ბატონო თბის, მაგრამ არ მინდა მკვლელო გაგებდ, თანაც ისეთი უდანაშაულო ადამიანისა, როგორიც მე ვარ. ძნელია ჩვენაირი კაცის სისხლი და ცოდეა ედოს კაცს კისერზე.  
 ხანდახან იმასაც ვფიქრობ, ასეთ ნაძირალაზე როგორ გავისვარო ხელი-მეთქი.

\*\*\*  
 ხანდახან უცნაური გრძობა შემბყრობს — მინდა ისეთი ერის პატარა შვილი ვიყო, დამოუკიდებლობის პრეტენზია არ მქონდეს, ხოლო სხვას — ჩემი ქვეყნის დაბყრობის სურვილი. ო, რა ბედნიერი იქნებოდა ასეთი ყოფნა!

\*\*\*  
 დაბადება — თავისთავად არის უსაჩუქრო ღვთაება თავისუფლებისად და სინათლისაკენ და რა ძნელია და მტკივნეული ეს პროცესი, მხოლოდ მშობიარე ქალმა იცის.

\*\*\*  
 ჩვენ სწორად ვხედებით ამ პროცესის მოწმენი, მაგრამ ამაზე არასოდეს გავფიქრია.

\*\*\*  
 სამგლოვიარო გვირგვინზე ასეთი წარწერა გავკეთებინათ: „ჭირფას და

დაუფიქრო აგრაფინას ნინოშვილის ქუჩის ქალებისაგან“.

\*\*\*  
 არაფერი არასდროს ისე სამარცხინოდ და თავისმომჭრელად არ ითვლებოდა საქართველოში, როგორც უპატიოსნება და ქურდობა. მარტო ის რად ღირს, რომ ქურდს მგერულად მახინჯი ჰქვია და ეს მახინჯი საქართველოში ერთიც რომ იყოს, მინც უნდა გადაშენდეს, რამეთუ ქართული ანდაზა ღლადადებს: „ას მშენებელს ერთი მგერველი აუთავადებო“.

\*\*\*  
 დედამინა ის სუფელი სახედარი როდია, იმდენი აიკოდოს, რამდენსაც ვერ ზიდავს. არც ის ხე, იმდენი მოისხას, რომ ტოტები დაემხსერეს.  
 დედამინა კანბობია, იგი თვისინე სხუელი იცნებდა. რუსები ამას „самозаживание“-ს უწოდებენ. პარადოქსი ის არის, რომ ეს კანბობი კი არ ხდება, სუფედება.

\*\*\*  
 „შექვს მვერდს მიდებდი ქნარი, როგორც მინდა“ — მთელი კაცობრიობის შემოქმედია ოცნება გამოთქმული ამ ორ სტრიქონში, ლექსში კი — განხორციელებული.

\*\*\*  
 კაცობრიობას ჰქონია, რომ მან რალაც უკვე ააშენა — სინამდვილეში ჯერ არაფერიც არ აუშენებია — იგი მხოლოდ აშენებს საძირკველს რალაც გრანდიოზულისათვის, თვითონაც რომ წარმოადგენა არა აქვს.

\*\*\*  
 ჩვენ სწორად გვემინა სიტყვა გენოსის ხმარებობა. სამშინ არაფერია, იგი ასეა განმარტებული ლექსიკონში: „უდიდესი შემოქმედებით ნიჭის მატარებელი ადამიანი“.

\*\*\*  
 სამშინ მხოლოდ ის არის, რომ ეს განმარტება ვინმე უღირს ადამიანს არ მიუყვასდავთო, თორემ ნიკო ლორთქიფანიძის მიმართ ეს განმარტებანიმდებად ბუნებრივია და სისხლორცუელი, რომ ხანდახან გვიყვროს კიდევ, რეთუ ეს არ იცოდნენ მისმა თანამედროვეებმა, რეთუ თავიდანვე ვერ გრძობდნენ ამას!

\*\*\*  
 შესაშური ბიოგრაფია აქვს ნიკო ლორთქიფანიძეს. გაისხენო, რომელი მწერლის ბიოგრაფიის ამშვედებს საქართველოში, და თუნდაც მის გარეთ, ორი დეული, არა პირად ღირსების, არამედ სამშობლოს, ერის წმინდა სახელის და ღირსების დასაცავად.



რუსულან ბარიძე

— ასეთ ნაღმებს „ოთხიანებს“ ვეძახით, — შინიშნა მეორე გამნალმელმა.

— რატომ? — დაინტერესდა ირაკლი.

— რაც ვილაც მასზე აბიჯებს, მის გადარჩენას, სულ მცირე, სამი ადამიანი მინც სჭირდება ანუ გამოადის, რომ ერთი ასეთი ნაღმის მეშვეობით მონინალმდგენს ოთხი ჯარისკაცი ერთდროულად გამოგაყვს მწყობრიდან.

— გასაგებია... — გამნალმელს თავი დაუქნია შეფიქრინებულმა ჩავლეიშვილმა.

— რაც შეეება ნაღმების დამზადებას, — განაგრძო გამნალმელმა, — მათ იარაღის მწარმოებელი თითქმის ყველა მსხვილ ქვეყანაში აშხადებს, თანაც ზოგი — ლიციუნებით, ზოგიც — მეკობრულ სალებს. ტერორისტებს საკუთარი მოდელბიტაც კი აქვთ. იმის დარწმუნებით სათქმელად, ამ კონკრეტულ შემთხვევაში რა სახის ნაღმი გამოიყენეს, ასევეთქებელი ნივთიერების ნიმუში უნდა ვიპოვოთ. ასევე კარგი იქნებოდა, იმ მასალის პატარა ნაგლევიც გვეჩინოდა, რისგანაც ნაღმი იყო დამზადებული. ის შეიძლება, ლითონი, პლასტიკი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ხეც კი იყოს.

— თქვენი თხოვნის შესრულებას ყველანაირად შევეცდებით, — დაამიხედა გამნალმელი ჩავლეიშვილმა, — და შემიძებს ისევე მოგმართავთ დამმარტორისთვის.

— საზოზლარი იარაღია, — თავი უპაყოლოლოდ გადააქნია გამნალმელმა, — თუმცა იმასაც ხშირად ამბობენ, ნაღმი ყველაზე იფვი და ყველაზე საიფვი ჯარისკაციაო. სადაც ჩავლავენი, 100 წლის შემდეგაც კი იმ ადგილზეა. არც წყალს ითხოვს, არც — საჭმელს, არც — ჩასაცმელს და არც — ხელფასს. უბრალოდ „ნეკს“ მინაში და თავის დროს ანუ იმ ნამუს ელოდება, როცა ვილაც უღებლო ფებს დააბიჯებს...

— მინც რამდენ ხანს ინარჩუნებს საბრძოლო თვისებას?

— ზუსტად არავინ იცის. ზოგჯერ 1-ელი მსოფლიო ომისდროინდელი ნაღმიც კი აფეთქებულა.

ამის შემდეგ ჩავლეიშვილი გამნალმელს დაემშვიდობა და ისევე ბიბილაშვილის სახელი შერბუნდა. ბალმი, გუმბერიძისთან ერთად, უკვე ღვინიავილეც მუშაობდა.



სინკრუბის ვადასტი

— გამნალმელებმა მიხიხრეს, ასევეთქებელი ნივთიერების ნიმუშისა და ნაღმის ნაგლევის პოვნა კარგი იქნებოდაო, — უთხრა მათ ირაკლი.

— აბა, ჩვენ რას ვაკეთებთ? — ჰკითხა მას გაღიზიანებულმა გუმბერიძემ.

— ხელს აღარ შეგიშლით, — მხარზე ხელი შინაურულად მოუთათუნა ჩავლეიშვილმა და თავად სოფიო ბიბილაშვილის დაკითხვა გადამწყვიტა.

ირაკლის კარგად ესმოდა, რომ ამის გაკეთება მას შემდეგ აჯობებდა, რაც ქალი ცოტათი დამშვიდდებოდა და აზრს მოიკრებდა, მაგრამ ვიღარ ითმენდა. მოუთმენლობის მიზეზი კი ის იყო, რომ ამის გარეშე გამოძიების ამოსაღარი წერტილის პოვნას ვერაფრით ახერხებდა.

— დღეს თათბირს ვაპირებთ? — ჰკითხა სახლიდან გამოსულმა ანა მორჩილაძემ.

— აუცილებლად. ნამუდღევს უნდა შევიკრიბოთ და გულმოდგინედ ვიმსჯელოთ გამოძიების მიმდინარეობაზე. მართლა, ხარაშვილი სადღა? — დილიდან ალადაშვილების ოფისში ზის, დოკუმენტების ინვენტარიზაციის შედეგებს ელოდება და ალბათ, იმაზეც უძიებდა ოცნებობს, რომ იქნებ სასწაული მოხდეს და ამ მოსაწყენი საქმისგან ვინმემ მისხანასო. — ამომწურავი ანგარიში ჩააბარა ღვინიავილმა ირაკლის, — ხარაშვილი და ქადაღებში ქექებში წარმოიდგენია...

— მაშინ იქნებ შენც მივებარო,

წარწერებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგიზიაროთ ელფოსტით [gza.fantazia@gmail.com](mailto:gza.fantazia@gmail.com)

— სხობვა ანას ჩავლეიშვილმა, — რატომაც მგონია, რომ ეს მინიშნელობა ვანია.

ამის შემდეგ ირაკლი სახლი შევიდა, ქურთუკი გაიხადა, სკამის საწურვეზე გადაკიდა და თვითონ ტელეფონი შევიდა. სარკეში ჩახედვისას ინსტინქტურად უკან დაიხია, რადგან იქიდან თვალებჩანითღებულნი, გაუმარსავი და თმაბაურმგინელი ტიპი შემოსტეკროდა. „თეიმურაზ ქსოვრელის დაბანილ-დავარცხნილ თანამშრომლებზე ალბათ საშიშრულზე საშიშელი შთაბეჭდილება მოვახდინე, — დაასკენა მან, შემდეგ ბიბილე წყალი შეისხა, თმა თითებით შეისხორა და ისევე ფიქრი განაგრძო: „უკვე კარგად ვხედავთ, რომ სოფიო ბიბილაშვილი სიმართლეს ბოლომდე არ ამბობს, მაგრამ რატომ? რისი ამ ვისი ეფინია? იქნებ მათი, ვინც ბალმი ნაღმი ჩაუდო? თუ ასეა, მის შუშს სერიოზული საფუძველი აქვს, მაგრამ აუცილებლად უნდა ავილაპარაკო და ამას მხოლოდ მისდამი ხაზგასმული თანაგრძობითი თუ მივალნეც წინააღმდეგ შემთხვევაში, ისევე თავის ნივთაში შევიკრიბო და საერთოდ ვერაფერს დავაცდენინებ“.

ჩავლეიშვილმა საზარულად სოფიო შეიხადა, სადაც სოფიო სკამზე მოკუნტული იჯდა. ბალმი კი უწინდებურად ტყენიკოს კრიმინალისტები მუშაობდნენ და გუმბერიძის ბუზღუნიც ისმოდა. ირაკლის მოეჩვენა, რომ ეს ყველაფერი ადრე, ერთხელ უკვე მოხდა და ახლა აბსოლუტური სიზუსტით მეორედდებოდა. ამის გამო, უსიამოვნო, თითქმის აუტანელი განცდა დაეფუტა, მაგრამ ახლა საკუთარ განცდებზე ფიქრის დრო ყველაზე ნაკლებად ჰქონდა. ამიერი, ერთი ღრმად ამოისუნთქა, საზარულად მისდამი მისუჯდა და მის წინ მჯდარი ქალს თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა. სოფიომ გამოძიების მუხრის ვერ გაუტოლო, თვალები დამანამეყსავით დახარა და კიდევ უფრო მოიკუნტა. ირაკლი ერთი წამით მოეჩვენა; რომ სოფიო რააკით თიდე წნის წინ გარდაცვლილ-ღვდამისს თვალებზე: ზუსტად ისეთივე ქალბრა მან ჰკონდა და



ისეთივე გამხდარიც იყო... აი, სახე კი... რადგან უცნაურია და, ჩავლენიშვლის დედის სახე თითქმის აღარ ახსოვდა...

— კარგად მესმის, რომ აღდევებული ხართ, — მიმართა მან ქალს, — მაგრამ მაინც უნდა დავილაპარაკოთ.

სოფიომ, თანხმობის ნიშნად, თავი მორჩილად დაუქნია.

— მამ ასე, დილით აღმოაჩინეთ, რომ ღამე ბაღში ვილაც იყო, ხომ?

— დიახ, მაშინვე შევნიშნე.

— და რა მოიმიქმედეთ?

ქალმა გამოამიძებულს გაკვირვებით შეხედა:

— ეს ხომ უკვე გითხარით... ყველაფრის თავიდან მოყოლა დავინიშნე?

— არა, ყველაფრის მოყოლა საჭირო არ არის. ჩემს კითხვებს უპასუხეთ.

— როგორც კი ინათა, მაშინვე ავდექი, — დაიწყო სოფიომ, — საერთოდ ადრე ვდგები. ბაღში გავიხედე და მივხვდი, რომ იქ ვილაც იყო ნამყოფი. ამიტომ, მაშინვე პოლიციამი დავრეკე.

— პოლიციამი დარეკვა ასე რატომ იჩქარეთ? — ჩაეკითხა ჩავლენიშვილი, რომელიც ქალის რეაქციას აკვირდებოდა.

— აბა, რა უნდა მექნა? — გაუკვირდა სოფიოს.

— რა და, თუნდაც ბაღში გასულიყავით და გენახათ, რა მოხდა.

— ვერ გაებედეთ.

— რატომ?

სოფიომ კითხვას ნაუყრთა.

— მიხვდით, რომ რაღაც საფრთხე გეშუქებოდათ, ხომ? — ჩაეძინა ირაკლი.

ქალი დუმილს განაგრძობდა. ერთხანს ხმა აღარც გამოამიძებულს ამოუღო. ბაღიდან კი ისევ გუმბერძის ბუზღუნის ისმოდა.

— ვფიქრობ, ბოლომდე გულახდილი არ ხართ. მეტიც, რაღაცას ძალიან გულმოდგინედაც კი მიაღებთ. რატომ? — ბოლოს ისევ ჩავლენიშვილს მოუხდა დუმილის დარღვევა.

— იმიტომ, რომ ძალიან დიდხანს ვცხოვრობდი მუდმივ შიშში! — ნაშობიძა უცბად სოფიომ და ჩავლენიშვილს ისე შეხედა, თითქოს ეს მისი ბრალი იყო.

— შიშს, ჩვეულებრივ, მიზეზი აქვს ხოლმე... — დაიწყო ჩავლენიშვილმა.

— ცხადია...

— მაშინ ექნებ, გამანდოთ, რა ხდება? ეს მართო, თქვენს დაცვაში კი არა, იმის გარკვევაშიც დახმებ-

რება, თუ რა დავმართათ სინამდვილეში ამირან და გურამ ალადაშვილებს.

— თქვენი დახმარება არ შემიძლია, — თავი ნერვიულად გაიქნია ქალმა, — სამისო ძალა არ მაქვს.

— არც არის საჭირო. ისიც სრულიად საკმარისი იქნება, თუ ჩემს შევიხვებს გულახდილად უპასუხებთ, — მშვიდად განაგრძო ჩავლენიშვილმა, — თუნდაც თქვენი შიშის მიზეზით დაიწყეთ.

— ის თუ იცით, ყველაზე საშიში რა არის? — ხმადაბლა ჰკითხა გამოამიძებულს სოფიომ.

— რა?

— სხვისი შიშის ყურება.

— რას გულისხმობთ?

— ოცდაათი წელი ვიმუშავე ამირან ალადაშვილთან.

— ეს ერთხელ უკვე მითხარით.

— დიახ. და მიუხედავად ამისა, მას თითქმის არ ვიცნობდი.

— ესეც ვიცი.

— მაგრამ მის საქციელში ცვლილებების შემჩნევა მაინც არ გამჭივრებია. ბოლო ხანებში შეიცვალა. თქვენ წარმოიდგინეთ, სურვილიც სხვანაირი ახდოდა.

— სუნი?

— დიახ. ეს შიშის სუნი იყო. იცით, შიშს რა აუტანელი სუნი აქვს?

— ვიცოც, — მოკლედ მოუჭრა ირაკლიმ ქალს, — პირველად ეს როდის შენიშნეთ?

— დაახლოებით 3 წლის წინ.

— იმ პერიოდში რამე განსაკუთრებული მოხდა?

— არა, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. მეტიც, თითქოს, ყველაფერი მეტისმეტად ჩვეულებრივადაც კი იყო.

— და მაინც, რაღაც შეიცვალა, ხომ?

— დიახ.

— შევეცადეთ, გაიხსენოთ, რა? ეს მნიშვნელოვანია.

— ბოლო დროს მხოლოდ ამის გაკეთებას ვცდილობ, მაგრამ... —



ხმა აუთითოდა სოფიოს და სათქმელი აღარ დაასრულა.

ჩავლენიშვილი მიხვდა, რომ უფრო ფრთხილად უნდა მოქცეულიყო და ქალი არ დაფრთხო, რადგან ის რაღაცის გახსენებას მართლაც ცდილობდა.

— ამირან ალადაშვილთან თუ გისაუბრიათ ამ თემაზე?

— არა, არასდროს.

— მის ვაჟთან?

— არც მასთან. რატომღაც მეგონა, რომ გურამი მამას საერთოდ ვერაფერს ამჩნევდა.

— თავად როგორ ახსნით ამ შიშს? მაინც რისი ან ვისი უნდა შინებოდა ამირან ალადაშვილს?

— არ ვიცი...

— ძალიან გთხოვთ, კარგად დაფიქრდეთ. ამირან ალადაშვილს ველარაფერს ვუწვევლით, მაგრამ დღეს შეიძლება, თქვენც დაღუპულიყავით.

— ვიცი.

— როგორ მიხვდით, რომ საფრთხე გეშუქებოდათ?

— გულმა მიგრძნო.

— გული გულად, მაგრამ იქნებ ამის მიზეზი კიდევ რაღაც სხვა იყო? — ჩაეძინა ქალს ირაკლი.

— იყო, — როგორც ექნა, აღიარა სოფიომ.

— რა?

— ვიცოდა, რომ დამამობით ჩემს ოფისში ვილაც შედიოდა ხოლმე და ამას ბატონი ამირანიცა და მეც თითქმის ყოველ დილით ვამჩნევდით.

— როგორ?

— ხან კალამი გვხვდებოდა გადაადგილებულ, ხან სკამი — გვერდზე განუღო...

— მეჩერ? არ ჰკითხეთ ამირან ალადაშვილს, რა ხდებოდა?

— არა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ამის უფლება არ მქონდა.

— რას გულისხმობთ?

— თავად ამიკრძალა.

— ანუ პირდაპირ გითხრათ, რომ ამ საკითხს არ შეეხო?

— რა თქმა უნდა, ასე არ უთქვამს. უამისოდაც ყოველთვის ხუსტად ვხვდებოდი, რისი უფლება მქონდა და რისი — არა.

— გასაგებია... უცბად სამზარეულოს მინიან კარზე გუმბერძემ მოაკაკუნა.

— ახლავე დაებრუნდები, — უთხრა ჩავლენიშვილმა სოფიოს და ფეხზე წამოდგა. გუმბერძეს ხელში რაღაც პატარა დანახშირებული საგანი ეჭირა.



— ნაღმი პლასტიკატისაა, — დაინყო მან, — ამის თქმა უკვე ახლავე შეიძლება.

— ძალიან კარგი, — მაშინვე თავი დაუქანა ექსპერტს კმაყოფილმა ჩაუღივივლია.



— შეიძლება, მარტო მისი ტიპის კი არა, იმის დადგენაც შეეძლოს, თუ სადაა დამზადებული, მაგრამ ამას უკვე დრო დასჭირდება.

— იმის თქმა თუ შეგიძლია, ბაღში ვის უნდა ჩაეფლა, საქმის მცოდნეს თუ დილექტანტს?

— შეძლებდა, ვიდავ-ვიდავები სატელეფონო ცნობარებს აქეთ-იქით დაფიქრებულად რომ ამ ისროდნენ. — ვიცო, რომელ „მსროლელზე“ გაქვს ძევი, — გაეღიმა ჩაუღივივლი, — მაგრამ ნაღმი ხომ ადვილად აღმოვაჩინე. განა სპეციალისტები ნაღმებს ასე დაუდევრად ფლავებენ?

— რა თქმა უნდა, არა, — უარის ნიშნად თავი გააქანა გუმბერძემ, — ამიტომ, ვფიქრობ, რომ ეს მაინც უფრო დილექტანტის ნამოქმედარი უნდა იყოს.

„ანდა პროფესიონალის, რომელსაც უნდა, რომ დილექტანტი გვეგონოს“ — გაიფიქრა ჩაუღივივლიმა, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს და ისევ საშპარეულოში შებრუნდა. მას სოფიოთან ერთადერთი კითხვავდა ჰქონდა:

— ვინ არის ის ქალი, გაუშინ, ნაშუადღევს რომ იყო თქვენთან?

სოფიომ გამოძიებულს გაკვირვებით შეხედა:

— თქვენ... თქვენ საიდან იცით? — არა მგონია, ამას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს. ჯობს, კითხვავს მიზაუხროთ.

— ის ქალი ჩვენი ოფისის დამაგებელია.

— რა ჰქვია?

— ზეინაბი.

— გვარი? — ასლამაზიშვილი.

— ანდა ცხოვრობს?

— ზუსტად არ ვიცი, მაგრამ სამსახურში მისი მისამართი ჩანიშნული გვაქვს.

— თქვენთან რისთვის იყო მოსული?

— აინტერესებდა, მომხდარის შემდეგ ოფისი მუშაობას თუ გააგრძელებდა, უფრო კონკრეტულად კი მას თუ შეუნარჩუნდებოდა ადგილი.

— სასწრაფოდ დამიდგინეთ ამ ქალის მისამართი და დამირეკეთ. თქვენს სახლს კი, სანამ ამის აუცილებლობა იქნება, პოლიცია უდარაჯებს.

— დიას, ახლავე ყველაფერს გაგირკვეთ... — დაფაცურდა სოფიო...

ამის შემდეგ ჩაუღივივლი ყველას გამოეშვიდობა და განყოფილებისკენ გასწია. გზაში გეგმას აწყობდა, ანდრო მოროტაძისთვის რა და როგორ მოეხსენებინა, მაგრამ შეუი ადვილზე ვერ დახვდა...

დიღის პირველ საათზე, ჩაუღივივლიმა პეტრე ლევიძის კაბინეტის კარი შეღო. ლევიძესთან ყოველი მისვლისას ირავლის მის კაბინეტში გამაფრებული უნესრიგობა აოცებდა. ყველანა ქალაღები ეწყო: მავიდაზე, იატაკზე მოსველებებისთვის განკუთვნილ სკამებზეც კი.

ლევიძემ ერთ-ერთი სკამიდან ქალაღები სასწრაფოდ ნაოკრიცა და ჩაუღივივლის დაჯდომა შესთავაზა. ირავლი დაჯდა და მაშინვე სოფიო ბიბილაშვილის ბაღში მომხდარი აფეთქების ამბოს მოყოლა დაიწყო.

— ვითომ მართლა ნაღმი იყო?

— მაინც დაეჭვავა ლევიძე.

— გუმბერიძე, როგორც წესი, არ ცდებდა, — მშვიდად შენიშნა ირავლიმ.

— საერთოდ, მთელ ამ ამბავზე რას ფიქრობ? უკვე მიროტაძესაც ველაპარაკე და მიმაჩნია, რომ სწორად მოიქცეა, ავტოკატასტრაფის საქმეს რომ მიუბრუნდი. მაგრამ მართლა სულ მთლად არაფერია ხელჩასაჭიდი?

ჩაუღივივლი ჩაფიქრდა:

— ერთადერთი, რაზეც მოტივივდ ვარ დარწმუნებული, ისაა, რომ ყველადფერი ანუ ადვოკატების სიკვდილიცა და მათი პირადი მდიგნის

ბაღში ნაღმის ჩადგეპ ვილაცამ ნინანანარ დადგემა. მაგრამ იმას კვერფრთი ვხვდები, როდის და რით დაიწყო ეს ყველაფერი და რით დასრულდება?

— ნაღმი ალბათ, ბიბილაშვილის შესაშინებლად ჩაიღეს, ხომ?

— არა, მის მოსაკლავად.

— ვითომ?

— დარწმუნებული ვარ. ამიტომ ამ ქალის უსაფრთხოება უნდა უზრუნველფეთ. იქნებ დროებით საერთოდაც სხვაგან გადაგვეყვანა საცხოვრებლად?

— ამ საკითხს მე მოვავგარებ, — შეჰპირდა ლევიძე გამოძიებულს, — ანდროს დაველაპარაკები.

— სოფიო ბიბილაშვილი საშინლადა დამფრთხალი.

— აბა, რა იქნება?

— მართლა, მამა-შვილი ალადაშვილების შესახებ მინდდა, მეკითხება. შენ ხომ მათთან დიღხანს იმუშავე?

— ამირან ალადაშვილი დიდი უცნაური ვინმე იყო, — დაიწყო პეტრემ, — და შვილიც ნელ-ნელა მას ემსგავსებოდა.

— მოდი, ჯერ უფროს ალადაშვილზე მომიყვიე, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფერი სწორედ მისგან დაიწყო. ილონად, არ მკითხო, რატომ ხარ დარწმუნებული.

— რატომ არ გკითხო?

— იმიტომ, რომ მაინც ვერაფერს ვიკავებ. უბრალოდ, ასე მგონია და მორჩა.

— ამირან ალადაშვილთან საქმე თითქმის არ მქონია, — აქ რომ გადმოვედი სამუშაოდ, სასამართლოში თითქმის აღარ გამოვლიდა, რადგან ბოლო წლებში ძირითადად ეკონომიკურ კონსულტანტად მუშაობდი.

— მათ შორის თიემურაზ ქსოვერელის კონსულტანტადაც, რაც საკმაოდ უნდა იყოს.

— რას გულისხმობ?

— რას და ნაკლებად ცნობილი, თითქმის არაფრთი გამოჩენული ადვოკატისა და გლობალური ფინანსური იმპერიის დამაარსებლის ესოდენ მჭიდრო საქმიან ურთიერთობას. არ მიზნავ ახლა, ეს ყველაფერი უცნაურად არ მომქნებიათ.

— წარმოიდგინე, რომ არა, რადგან რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, საქართველო ადამიანების საქირფრისა და ადგილზე პოვნა და ქსოვერელის, როგორც ბიზნესმენის ვამოყენება, წარმატების ერთ-ერთი მთავარი საწინდარია. შესაძლოა, ამ



კაცმა მოხუც ადვოკატში რალაც ისეთი აღმოაჩინა, რასაც სხვები, უბრალოდ, ვერ ამჩვენებდნენ.

— ეს კაცი, როგორც შენ უნოდე, რაიმე ბნელ საქმეებში ხომ არ არის გაჭრული?

— არა მგონია... ყოველ შემთხვევაში, მე მსგავსი არაფერი მსმენია. არადა, ცოტა უცნაური კია, რადგან როგორც ასეთ საქმეებში უფრო ღრმად ჩახედულები ირწმუნებიან, ყოველი დიდი ქონების უკან ასეთივე დიდი თუ არა, პატარა დანაშაული მინც იმალება. ამდენად, ქსოვრული ან მართლა გამოჩაღისია, ანდა, ჯერ დანაშაულში არავის გამოუჭერია — ანუ როგორც ასეთ შემთხვევაში ამბობენ ხოლმე, თუ არ დაიჭერ, ქურდი არ არის...

— ამირან ალადაშვილზე რაღას იტყვი? არც მის ბიოგრაფიაში მოიძებნება შავი ლაქები?

— ნამდვილად არა. პატიოსანი ადამიანი იყო, ცოტა პედანტი და მოსაწყენი, მაგრამ წესიერი...

— მაგრამ მაინც მოკლეს. უშიზოდ კი არავის კლავენ.

— ვერ ვხვდები, ამით რისი თქმა კინდა?

— ადვოკატს ხომ ექიმით სხვისი აადუმლოებები აბარია...

— მაგასი მართალი ხარ. მეც ვფიქრობ, რომ შეიძლება, ამ საქმის გასაღები სწორედ კლიენტებთან მის ურთიერთობაში იყოს საძებნელი. როგორც ჩანს, ამირან ალადაშვილის საადვოკატო საქმიანობაში იყო რალაც ისეთი, რასთანაც მარტო მას კი არა, მის ვაჟს და თვით მათ შორად მდევანსაც კი საკმაოდ მჭიდრო შეხება ჰქონდათ.

— გეტანხმები. ჰოდა, ჩვენც სწორედ ამ რალაცს თუ სულაც ვიღაცას ვეძებთ, მაგრამ ჯერჯერობით სწორულია უშედეგოდ. გურამ ალადაშვილზე რაღას იტყვი?

— ბევრს ვერაფერს. მამამისივით ისიც ცოტა უცნაური იყო. იმავეს კი ამბობდნენ, ცოლი იმიტომ არ მოჰყავს, რომ ქალებზე მეტად კაცებსკენ გაურობის თვალთ.

— სერიოზულად?

— არა მგონია. დღეს ხომ ახე ლამის ნებისმიერ უცოლო ასაკოვან მამადაცზე ჭორაობენ. თუმცა ეს ამავეი 10 ან 20 წლის წინ რომ გამეგო, ალბათ შანტაჟს არ გამოვირცხავდი.

— ისე, ამ ვერსიის შემოწმება არც დღეს გვანყენდა.

— შეამოწმე მერე, რა პრობლემაა?

— კიდევ რას დაუმატებ?

— ბევრს ვერაფერს. გურამს იუზორის გრძნობა არ აკლდა, მაგრამ უფრო ხშირად მაინც მოქუფრული იყო. ისე, ამბობდნენ, კარგი მეთევზეო, მაგრამ მე ამ საქმეში არასდროს გამოიმტკიცა.

— ლევიძე კიდევ რალაცის თქმას აპირებდა, მაგრამ უეცრად მის მაგივრად ტელეფონი ანერიალდა. პეტრემ ყურმილი აიღო და ჩაუღეშვილს გაუწოდა:

— შენ გეტყვენ.

— გოგი ღვიზიაშვილი რეკავდა. მისი ადვოკატობა ხმის გაგონებისთანავე ჩავეღეშვილი მიხვდა, რომ რალაც მინუგელოვანი მოხდა.

— ალადაშვილების ფირმიდან გირეკავ, — დაიწყო გოგომ.

— მართლა? როგორ გაჩნდი მანდ?

— ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა.

— ანუ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი რამ მოხდა, ხომ?

— კი.

— მაშინ ყურადღებით გისმენ.

— მგონი, ვიპოვეთ, რასაც ვეძებდი.

— მაინც რა იპოვეთ?  
— მუქარის წერილები...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ყოველ პარასკევს, ყურნალ „საბავშვო ჟურნალთან“ ერთად, დიდი ჟარტყულები ბიოგრაფიების თითოთი წიგნი!

მალე გამოვა:

- 30 დემეტრე თავდალებული
  - 31 ჰამლეტ გონაშვილი
  - 32 მიხეილ ჯავახიშვილი
- და სხვა დიდი ჟარტყულები



კავთიია თაყაიშვილი

ბავშვებისთვის  
აღაზიანების ბიოგრაფიები  
წიგნების სერია ბავშვებისთვის

ვაკე გამოსული ბოგაბი. შვიძილათი შვიძილთი წიგნის ბავშვებისთვის!



მშპა კეპრასხალია  
ნანარმობზე თქვენი  
შთაბეჭდილება შეგიძლიათ  
გაგვიზიაროთ ელფოსტით  
gza.fantazia@gmail.com

# ყალბი ლტოლვა

დასაწყისი იხ. „გზა“ №23-45

— მამაჩემთან რომანი რომ ჰქონია, იმ პერიოდში ექსკურსიაზე წასულა მისი კურსი და ესეც გააყოლია. იქ ერთი ჯგუფული ყოფილა, რომელსაც სიგიჟემდე უყვარდა თურმე... დედას დაუღვია, დამოთვრალა. ექსკურსია ორდღიანი ყოფილა, კარვებით წასულან. როგორც ჩანს, მთვრალმა თავი ვერ გააკონტროლა და იმ ღამეს იმ ბიჭთან ყველაფერი მოშობარა. მამაჩემისთვის კი ვერ უთქვამს. ამასობაში, მამამ ცოლობა სთხოვა, ისე უყვარდა, რომ დათანხმდა. გადაწვევით, შემოდგომაზე დაქორწინებულიყვნენ. ზაფხული ყოფილა. შემოდგომაზე კი გაიკრვა, რომ დედა ორსულად იყო. მაინც არ უთხრა მამას და ცოლად გაჰყვა, უკვე 2 თვის ორსული. ისეთი ბედნიერი იყო თურმე, რომ მეტი არ შეიძლება. მამას გონების დაკარგვამდე ჰყვარებია. მუცელი რომ წამოეზარდა, მამას ეჭვიც არ შეშპარვია, რომ შეილი მისი არ იყო. ამასაც უფიქრია, ისე ვუყვარვარ, მამატიუნსო და უთქვამს, ეს ბავშვი შენი არ არისო. ვინ ექაჩებოდა ნეტავ, ინაზე? რამდენი შეიდთოიანი იზადება, სულ არ ეთქვა არაფერი, არ სჯობდა? მამა ალბათ ვერც გაიგებდა სიმართლეს. დედას იმედი ჰქონდა, აპატიებდა, გაუგებდა. იმან კიდევ არ აპატია. ამტყდარა ერთი ამბავი. აბორტ უკვე დაგვიანებული ყოფილა. მამას უთქვამს, ან გავაშვილებთ ამ ბავშვს, ან სახ-

ლიდან წახვალ. დედას კიდევ სად ჰქონდა წახსვლელი? არსად. შეეგუა თურმე ბედს. ბოლო 3 თვე სახლიდან არ გამოდიოდა, რომ არავის გაეგო მისი ორსულობის ამბავი. სულ ფრიალა კმობით დადიოდა. მერე ჩუმად აკშობიარეს. ამასობაში მამას ვილაც უშვილო ცოლ-ქმარი უპოვია და რომ დაიბადე, იმათ ნაიკვანეს.

— მიმიყდეს?

— არა, რა სისულელეა, დღიურში ამაზე არაფერი წერია! ან კი რა უჭირდა დასაგისო მამას, ფულს მეტა რა ჰქონდა! — დავიცა ნინამ მამამისი.

ისე შემახურა, თითქოს სურდო შემეყარა, სუნთქვაც კი გამიზიარდა. საშინელება იყო ამის მოსმენა.

— მაგრამ... მერე მაინც რატომ არ მომიკითხა?

— არ ვიცი, ანა. იქ მეტი არაფერი წერია.

— არც ის, ვინ არის მამაჩემი?

— არა, იმ თავისი ჯგუფულის არც სახელია ნახსენები და არც — გვიარ.

— მაგრამ შეგეძლია ამის გაგება.

— და გინდა ეს? რაში გჭირდება კიდევ ერთი ტკივილი? დაფიქრდი. დაფიქრდი... პო, რაში მჭირდება... ისიც რომ ისე მომეცეს, როგორც დედა მომეცა, მაშინ თავი უნდა მოვიკარა. აჯობებს, ყველაფერი ისე დაიჩქეს, როგორც აქამდე იყო. საშინლად დავმძიმედი. ნანასთან გაჩერება აღარ შემიძლო.

— მე წავედი, — ვთქვი და წამოვდექი...

მეგონა, ნანასთან ყოფნა დამამშვიდებდა, მაგრამ მოვეცუფედი. უარესად აფორიაქებული დავბრუნდი შინ. უზაროდ გაინელა დრო საღამომდე. გამუდმებით ლაღოზე ვფიქრობდი, ამიტომ ვერაფერი გავაუთეთ. ვინცედი და მის ტკივილიან წარსულში „ვიქვევობოდი“.

შელამბული იყო, რომ უეცრად რილაც ფხაჭუნის ხმა შემომესმა, თითქოს ვიღაც კარის სახელურს აწვალებდა. არ შემშინებია, მაგრამ მაინც უსიამოვნოდ გამკრა გულში. ასე ქურდულად ვინ უნდა მომდგომოდა შინ?

სათვალთვალში გავიხედე. თქვენც არ მომიკვდეთ! სადარბაზოში ბნელოდა, ამიტომ, ვერავინ დაინახებოდა. მამა არ განმეორებულა. ფრთხილად გადავატრიალე გასაღები და კარი ოდნავ გამოვღე. მოულოდნელობისგან შევკვივრე, რადგან სიბნელეში აშკარად დავლანდე ვიციაცის სილუეტში. ალბათ, გულიც წამიკვივოდა, იმ ვილაცას რომ არ დაეჭვებო.

— მე ვარ, ნუ გეშინია! ლადო აღმოჩნდა.

— როგორ შეშპაინე!

— არ მინდოდა შენი შეშინება.

— აქ საიდან გაჩნდი? — ჩურჩულით ვკითხე და ფერმიხდილმა უკან დავიხიე, ოთახში რომ შემოსულიყო.

— შენს სანახავად მოვედი, — მომიგო, დივანზე დაჯდა და მრავალმნიშვნელოვანი მზერა მესროლა.

ვიგრძენი, როგორ გამიშრა პირი. თვალი ავარიდებოდა. მინდოდა, მეკითხა, რისთვის მოხვედრითქი, მაგრამ ხმა ვერ ამოვიღე.

— ანა, მამატიე... მართლად არ ვიცოდი, ის ბიჭი შენი ძმა თუ იყო, — ძალიან ხმადაბლა მითხრა.

ბასუბი არ გავეცი, განმგმირავად შევხედე მხოლოდ.

— ვიცი, ცუდად მოგვექცი. არ უნდა შეშპაროდა შენში ეჭვი, მაგრამ... იმ დღეს იმდენი რამე მოხდა... თან, ჩემ თვალწინ ისე ესუტეებოდი მას, რომ... კონტროლი დავკარგე.

ერთ ადგილას ვიდედი... ძლივს მესმოდა მისი სიტყვები. მხოლოდ მის სახეს შევცქერებოდა და ხარბად ვთვალთვლიდი ჩემთვის ესოდენ საყვარელ სახეს. მერე ავტირდი... ჩუმად, უხმოდ...

— შენ რა, ტირი? — ცალი წარბი აზიდა.

— არა, ეს, უბრალოდ, ნერვების ბრალია...

- ძალიან გამბდარხარ...
- შო. ცოცხა ვივადამყოფე და...
- არ ვივადა თბილისში.
- ვიცო, როზამ მითხრა.
- დემ-ის ანალოზი ჩავტივარე.
- დემ-ის? რისთვის? — კოპები შევიკარი გაოცებულმა.

— მინდოდა, დავრწმუნებოლიყავი, რომ ვასიკო ჩემი შვილია. საშინელი თავბრუსხვევა ვიგრძენი. ამავსაცხაბა.

— და... და... მერე? — ძლივს ამოვილულულუღე.

— აღმოჩნდა, რომ ჩემი შვილია. ალბათ, დაუფერებელია, მაგრამ ასეა, — ოდენად შესამჩნევად გაიღიმა.

— სულაც არ არის დევიკოვური, — სისხრულისგან ხმა ამიკანკალდა, — მე ყველაფერი ვიცო, როზამ მიაშობო.

